ცეცხლი თოვლისა ხისად ვერდ

~~353~~

~~272~~

271

287 1 271

287 1 271

დასკანირებულია 14
16-01-2025

13.

## ეხმაურებიან წერილს „სოფლიდან აფრენილი ბავშვობა“

# ეს ფაქტიც ადასტურებს

გაზეთ „მებრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პროფესორ აკაკი თოფურიას წერილების ციკლი სათაურით „სოფლიდან აფრენილი ბავშვობა“, რომელიც შესანიშნავ მასალებს გვაძლევს ლეო ქიაჩელის ბიოგრაფიის შესასწავლად. უფრო ზუსტად, ეს მხატვრული ნარკვევი, რომელმაც ფართო მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ბავშვობის პერიოდის გაცოცხლებაა.

პროფესორი აკაკი თოფურია სხვა ბიოგრაფიულ საკითხებთან ერთად ეხება ლეოს დაბადების თარიღსაც.

ცნობილია, რომ დავა იყო ორი თარიღის გარშემო — 1884 თუ 1888 (?!)

პროფესორ თოფურიას მწერლის დაბადების თარიღად მიაჩნია 1884 წელი, რაც სავსებით ზუსტად უნდა ჩაითვალოს.

მამაჩემის — ანტონ პავლეს-ძე ხარჩილავას გადმოცემით ვიცი, რომ ის და ლეო სოფელ ობუჯის ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდნენ. როცა მამაჩემი პირველ კლასში შესულა, ლეო მესამეზე (ე. ი. ორი კლასით წინ) ყოფილა.

მამაჩემი 1886 წელსაა დაბადებული (რასაც ადასტურებს მისი მეტრიკული ამონაწერი, რაც დღესაც გამაჩნია), ხოლო ლეო, რომელიც მასზე ორი კლასით წინ იყო, ორი წლით უფროსი უნდა ყოფილიყო.

ეს პატარა ფაქტიც იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ლ. ქიაჩელი 1884 წელსაა დაბადებული.

ლეოს მშობლიური ობუჯის უხუცესნი პროფესორ აკაკი თოფურიას აზრს იზიარებენ.

ი. ხარჩილავა.

„[illegible]“ 1977, № 35 22/IV

# მნა მილიციის საყრდენი პუნქტი

წრებოდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეები.

თათბირს ესწრებოდნენ ჭითაწყარის, ცაიშის, ურთის, ნარაზენის, ჭაქვინჯის, „კოლხიდის" ინგირის, კახათის, კოკის, შამგონის, ახალკახათის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, ანაკლიის, ინგირის, დარჩელის, აბასთუმნის, ორსანტიის, ონარიის, ნარაზენის, ხეცერის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, ჩაის ფაბრიკათა დირექტორები, საწარმოთა ხელმძღვანელები და სკოლების დირექტორები.

თათბირმა მოისმინა ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის საყრდენი პუნქტის სამართალ დარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოს ანგარიში. ანგარიშით გამოვიდა პროფილაქტიკის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. შონია.

თათბირზე ინფორმაციებით გამოვიდნენ რაიონის პროკურორი ამხ. გ. გვახალია, რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომა- მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ამხ. ზ. ტაბიძე, ონარიის მეურნეობის დირექტორი ამხ. ო. ანთია.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. თოდუა.

ონარიის მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჭურღულიამ თათბირზე შემოიტანა წინადადება მეურნეობასთან შეიქმნას მილიციის საყრდენი პუნქტის პროფილაქტიკური საბჭო 25 ამხანაგის შემადგენლობით. თათბირმა საყრდენი პუნქტის თავმჯდომარედ აირჩია ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ო. ანთია.

მილიციის საყრდენი პუნქტის შექმნას ონარიის მეურნეობაში წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით განახორციელეს მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებები.

მილიციის საყრდენი პუნქტი, რომელიც ონარიაში შეიქმნა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ზედაეწერის! საყრდენი პუნქტ-